საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის პედიატრიული კლინიკა

თბილისის პედიატრიული კლინიკა მ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს სახელობისა (შპს) (ყოფილი ბავშვთა N 3 კლინიკური საავადმყოფო), გაიხსნა 1966. აშენდა საუკეთესო მიკროკლიმატის მქონე ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც იდეალურ პირობებს ქმნიდა ბავშვთა რესპირაციული დაავადებების სამკურნალოდ.

კლინიკა გათვლილია 80 საწოლზე, აღჭურვილია თანამედროვე სამედ. აპარატურით და კომპიუტერული ბაზით. მის სტრუქტურაშია: პედიატრიული სექტორი; ნეონატოლოგიური სექტორი; ქირურგ. სექტორი: ზოგადი ქი რურგია, ტრავმატოლოგია, ოტორინოლარინ-გოლოგია, ანტირაბიული კაბინეტი; კრიტ. მედიცინის სექტორი; მიმღები და გადაუდებელი სამედ. დახმარების (emergency) განყ-ბები.

ამბულატორიული დეპარტამენტი: პედიატრია, ნეონატოლოგია, ქირურგია, ტრავმატოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, ნევროლოგია, კარდიორევმატოლოგია, გასტროენტეროლოგია, ინფექციური სნეულებები, ფსიქორეაბილიტაცია, ოფთალმოლოგია, ფიზიოთერაპია, რადიოლოგია, იმუნიზაცია, ციფრული ელექტროენცეფალოგრაფია, ულტრასონოგრაფია (ფარისებრი ჯირკვლის, შინაგანი ორგანოების ექოსკოპია, ნეიროსონოსკოპია, კარდიოექოსკოპია, ექოენცეფალოსკოპია), ენდოსკოპია, ლაბორატორიული საქმიანობა (კლინ.-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, ბაქტერიოლოგიური).

დაარსების დღიდან საავადმყოფოს ხელმძღვანელობდნენ: ე. ჩუბინიშვილი (1966–86); მ. გურამი შვილი (1986–96); ქ. ნემსაძე (1996–2008); რ. სვინტრაძე (2008, 2010–11); გ. გოგიშვილი (2008– 09); პ. ჟორჟოლიანი (2009–10); 2011-იდან – ა. გვენეტაძე.